ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N33

ქალაქი ბათუმი

14 თებერვალი 2018 წელი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური** რესპუბლიკის **განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ბაგრატ მანველიძის სახით და მეორე მხრივ, **სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი სერვისის დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა Hyundai IX-35 სახელმწიფო ნომერი: AH637HA ტექნიკური მომსახურება და მომსახურებისთვის საჭირო მასალების მოწოდება-შეცვლა (CPV-50100000). (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი და/ან მომსახურება)

1.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება და დეტალური აღწერა მოცემულია დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 560 (ხუთას სამოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების გაწევის წესი, ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

3.3. ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება გულისხმობს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული მომსახურების გაწევისთვის შესასრულებელ ყველა სახის სამუშაოს ავტომანქანის შემდგომი შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით.

3.4. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის საკუთრებაში არსებული ტექნიკური მომსახურების სერვისცენტრი. (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 12).

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

4.4. მომსახურების მიღება-ჩაბარებამდე მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალების (შესყიდვის ობიექტის) ჯეროვანი ტექნიკური დამატებითი შემოწმება/ინსპექტირება/გამოცდა. თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა რაიმე სახის ნაკლი, რომელიც ეხება მიმწოდებლის მიერ განხორციელებულ მომსახურებას, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლი.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია ტექნიკური შემოწმებისას სრულად და ჯეროვნად გამოიკვლიოს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა, მათ შორის იმ ნაწილების ტექნიკური მდგომარეობა, რომელთა გამოცვლა ან/და შეკეთება არ შედის წინამდებარე ხელშეკრულების საგანში და რომელთა არასრულფასოვანმა ფუნქციონირებამ შესაძლებელია დააზიანოს და/ან მწყობრიდან გამოიყვანოს წინამდებარე ხელშეკრულების მომსახურების შედეგად შეცვლილი ან/და შეკეთებული ნაწილები. შემოწმების შედეგად არსებული ნაკლის შესახებ, მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემსყიდველს.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უპაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და/ან შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.3. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ ექნება პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

6. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რესურსების მართვის დეპარტამენტის ტექნიკური მუშაკი (მძღოლი) ზაზა ჯაფარიძე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებია თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. N4
ს/კ 245 427 667

მინისტრის მოადგილე
ბაგრატ მანველიძე

მიმწოდებელი:

სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"

საქართველო, ქალაქი თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეიცანი მე-12 კმ
ს/კ 204 478 948
ს.ს. „თიბისი ბანკი"
მფო TBCBGE22
ა/ა GE15 TB11 0000 0110 4676 97
სერვისის დირექტორი
ალექსანდრე ხვედელიძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხარჯთაღრიცხვა

№	საქონლის/მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	PAD SETFR BRAKE	ცალი	1	235	235
2	ძრავის ზეთი	ლიტრი	4	25	100
3	ზეთის ფილტრი	ცალი	1	20	20
4	უკანა ხუნდები	ცალი	1	160	160
5	სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა		2	15	30
6	ზეთის შეცვლა სტანდარტი		1	15	15
	ჯამი				560

შემსყიდველი

მიმწოდებელი